ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2013 წლის 20 აგვისტო

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს,

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდს

შორის

„ბათუმის მასწავლებლის სახლის" ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

1. პრეამბულა

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი განათლების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში სწავლა - სწავლების ხარისხის გაუჯობესებაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან მათი ცოდნის გათანაბრებას. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის. ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანებაა საჭირო იმისათვის, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა თანაბრად აისახოს საქართველოში მაცხოვრებელი ყველა ადამიანის ყოფაზე. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე მიუთითებს 2013 წელს ჩატარებული სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებიც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლებში 7 000-ზე მეტი მასწავლებელია დასაქმებული. რეგიონში დასაქმებული მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების კურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კერა (ბათუმის მასწავლებლის სახლი), რომელიც მსმენელებს შესთავაზებს სხვადასხვა სახის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს უკვე აქვს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. ცენტრის მიერ იმართება თბილისისა და ქუთაისის მასწავლებლის სახლები.

,,ბათუმის მასწავლებლის სახლი" ჩამოყალიბდება ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდის" ბაზაზე, რომელიც 2011 წლიდან ფუნქციონირებს და გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა აღნიშნული სერვისის უზრუნველსაყოფად. ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი" შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უცხო ენებისა და კომპიუტერების უფასო კურსების ორგანიზება აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში, ასევე მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა. ბათუმის მასწავლებლის სახლში სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების მიხედვით ჩატარდება მოკლე და გრძელვადიანი ტრენინგები, დაიგეგმება სხვადასხვა სახის აქტივობები, კონფერენციები, სემინარები. მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ აიმაღლონ კვალიფიკაცია, მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის, ჩაერთონ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში, ითანამშრომლონ კოლეგებთან და ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებაზე დადებითად აისახება.

2. **მემორანდუმის საგანი**

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა (შემდგომში - ცენტრი) და ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდს (შემდგომში - ფონდი) შორის თანამშრომლობის და ვალდებულებების განსაზღვრა ბათუმის მასწავლებლის სახლის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

3. **მემორანდუმის მხარეები**

წინამდებარე ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები არიან:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

4. **მხარეთა ვალდებულებანი:**

მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებზე აგებული თანამშრომლობის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც ,,ბათუმის მასწავლებლის სახლის" ფუნქციონირების ფინანსური, ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფს სამინისტრო და ფონდი, ხოლო შინაარსობრივს - ცენტრი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იღებს ვალდებულებას:

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს ,,ბათუმის მასწავლებლის სახლის" ფუნქციონირებას;
- სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით ხელი შეუწყოს ცენტრსა და ფონდს მათი საქმიანობის განხორციელებაში;
- ხელი შეუწყოს „ბათუმის მასწავლებლის სახლის" ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოების ინფორმირების პროცესს;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სხვა ღონისძიებები წინამდებარე მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

ბ) სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს ვალდებულებას:

- მონაწილეობა მიიღოს ტრენერთა შერჩევის პროცესში;
- უზრუნველყოს შერჩეული ტრენერების მომზადება და პროფესიული განვითარება;
- ხელი შეუწყოს ტრენერების თანამშრომლობას ცენტრში დასაქმებულ შესაბამისი საგნის კონსულტანტებთან;
- განათლების ფონდის შესაბამის თანამშრომლებთან ერთად შეიმუშაოს ,,ბათუმის მასწავლებლის სახლის" ყოველთვიური განრიგი;
- ცენტრის წარმომადგენლების მეშვეობით შეიმუშაოს და განახორციელოს ბათუმის მასწავლებლის სახლში მიმდინარე ტრენინგების პერიოდული მონიტორინგი;
- ბათუმის მასწავლებლის სახლში ტრენინგების ჩასატარებლად უზრუნველყოს ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიწოდება ტრენერებისათვის (მასალების თითო ეგზემპლარს ცენტრი ოფიციალურად გადასცემს ბათუმის მასწავლებლის სახლს, ხოლო ასლების გადაღება, გამრავლება და ტრენინგის მონაწილეებისათვის მიწოდება უნდა უზრუნველყოს განათლების ფონდმა).
- მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ცნობის გაცემა ტრენინგის გავლის შესახებ;
- რეგულარულად მიაწოდოს ფონდს ცენტრის პერიოდული გამოცემების რამდენიმე ეგზემპლარი;
- საჭიროების შემთხვევაში, ფონდის მიერ განსახორციელებელ პროგრამებში ჩართოს ცენტრის თანამშრომლები;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სხვა ღონისძიებები წინამდებარე მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

გ) ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდი“ იღებს ვალდებულებას:

- განახორციელოს ,,ბათუმის მასწავლებლის სახლის“ ადმინისტრაციული მართვა;
- ფონდის ბიუჯეტის ფარგლებში განახორციელოს ,,ბათუმის მასწავლებლის სახლის“ მუშაობის ფინანსური უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ბათუმის მასწავლებლის სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხების მოგვარება, მათ შორის:

  ა) აღჭურვოს სასწავლო კაბინეტები ტრენინგის ჩასატარებლად საჭირო ინვენტარით (ლეპტოპი, პროექტორი, ფლიპ-ჩარტი, სმარტბორდი და სხვ.);

  ბ) უზრუნველყოს დისტანციური შეხვედრებისათვის აპარატურის მოწყობა;

  გ) უზრუნველყოს რეგიონის მასშტაბით გასვლითი ტრენინგების ორგანიზებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვა ;
- განახორციელოს ყველა ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური სამუშაოები ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ტრენინგის ჩატარების უზრუნველსაყოფად;
- საჭიროების შემთხვევაში, ფონდის მიერ განსახორციელებელ პროგრამებში ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობის შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული თანამშრომლების შესაბამისი ანაზღაურება;
- მიიღოს შესაბამისი ზომები შერჩეული ტრენერების ცენტრთან შეუფერხებელი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;
- ცენტრთან თანამშრომლობით მოამზადოს ბათუმის მასწავლებლის სახლის ყოველთვიური განრიგი;
- ხელი შეუწყოს ცენტრის წარმომადგენლებს მონიტორინგის განხორციელებაში;
- სისტემატიურად მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია ,,ბათუმის მასწავლებლის სახლში“ დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების შესახებ;
- ყოველკვარტალურად, ასევე მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს ინფორმაცია სამინისტროსა და ცენტრს ,,ბათუმის მასწავლებლის სახლის“ მიერ გაწეულ მუშაობასთან დაკავშირებით;
- შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მისცეს ცენტრის წარმომადგენლებს უფლება მათ მიერ ორგანიზებული პროექტები განახორციელონ ფონდის სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გამოყენებით;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სხვა ღონისძიებები წინამდებარე მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

5. მოქმედების ვადა

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

2. მემორანდუმი შედგენილია 6 ფურცლად, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია 3 (სამი) წლის განმავლობაში, მისი ხელმოწერის დღიდან.

3. მემორანდუმის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით.

4. მემორანდუმის ხელმომწერი მხარის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მემორანდუმი ძალას კარგავს აღნიშნულ მხარესთან მიმართებაში. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტის დასასრულებლად.

მხარეები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ---------- /გიორგი თავამაიშვილი/

ხელმოწერა. ბ.ა.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ---------- /გია მამულაშვილი/

ხელმოწერა. ბ.ა.

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის დირექტორი ---------- /ირაკლი თავბერიძე/

ხელმოწერა. ბ.ა.